ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება № 01-07/151

„16" დეკემბერი 2020 წ.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის შესახებ

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში ენრიკო ბერიძის მიერ წარმოდგენილ იქნა 2020 წლის 12 ოქტომბერს №977153 და №977249 განცხადება ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა №9-ში (ს/კ:05.21.09.009.01.503; ს/კ:05.21.09.009.01.503) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლზე მანსარდული სართულის მოწყობისა და ეზოს მხარეს არსებული ფასადის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე და მიღებული იქნა გადაწყვეტილება - შეთანხმდეს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა №9-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია (სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2020 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი №03-04/13).

მესაკუთრის მიერ მანსარდული სართულის დაშენება განხორციელდა შესაბამისი ნებართვის გარეშე, რაზედაც სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი ენრიკო ბერიძე და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა ჯამში 20000 (ოციათასი) ლარის ოდენობით. მესაკუთრის მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმადაც უკვე დაშენებული მანსარდული სართულის დემონტაჟი გამოიწვევს ძეგლის კონსტრუქციული სისტემის მთლიანობის დარღვევას და მნიშვნელოვნად დაქვეითდება

შენობის სიმტკიცე და მდგრადობა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ვიღელმძღვანელეთ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 112-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმადაც: ,, თუ წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განიხილოს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი." სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და დადგინდა რომ სრულად აკმაყოფილებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 107-ე მუხლის, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის ,,გ" პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ენრიკო ბერიძის მიერ წარმოდგენილი განცხადება და გაიცეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა №9-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მანსარდული სართულის მოწყობისა და ეზოს მხარეს არსებული ფასადის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად.

2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ (ნ. მამულაიშვილი).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს დირექტორი ზაურ ახვლედიანი

კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლზე სამუშაოების

სანებართვო მოწმობა

N 03-05/95

1. ნებართვის მფლობელი
ენრიკო ბერიძე – პირადი ნომერი: 61008000106; მისამართი: ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის №9, ბინა №14;

2. სამართლებრივი საფუძველი
ენრიკო ბერიძის 2020 წლის 16 ოქტომბრის №977153 და №977249 განცხადება; სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 16 დეკემბრის №01-07/ 151 ბრძანება;

3. სანებართვო ობიექტი
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი – ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა №9 (ს/კ:05.21.09.009.01.503; ს/კ:05.21.09.009.01.503);

4. შესასრულებული სამუშაო (სამუშაოები)
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მანსარდული სართულის მოწყობისა და ეზოს მხარეს არსებული ფასადის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები;

5. სამუშაოთა შუალედური და საბოლო ანგარიშების წარდგენის ვადები
2021 წლის 16 თებერვალი; 2021 წლის 16 მარტი;

6. ნებართვის მოქმედება
2020 წლის 16 დეკემბერი - 2021 წლის 16 მარტი;

7. ნებართვა გაცემულია
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილების საფუძველზე;

8. სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი
2020 წლის 16 დეკემბერი;

სააგენტოს დირექტორი
ზაურ ახვლედიანი